

2023

შპს „დ.ს ესთეით“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია.....	9
2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	13
4. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია.....	14
5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	16
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
8. მარაგები.....	17
9. გაცემული სესხები	17
10. ძირითადი საშუალებები	18
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
12. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა.....	19
13. გრძელვადიანი სესხები	19
14. საწესდებო კაპიტალი	19
15. შემოსავალი	19
16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	20
17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	20
18. საკურსო მოგება.....	20
19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	21
20. მოგების გადასახადის ხარჯი	21
21. ფინანსური რისკის მართვა	21
22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	25
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	25

შპს „დ.ს. ესთეით“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2022 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	142,136	932,010	676,169
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	163,728	158,661	172,918
მარაგები	8	547,347	543,594	414,731
გაცემული სესხები	9	33,012	383,083	78,047
საგადასახადო აქტივი, წმინდა	12	22,826	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		909,049	2,017,348	1,341,865
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	8,236,633	8,893,688	9,598,430
არამატერიალური აქტივები		4,897	4,897	4,897
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,241,530	8,898,585	9,603,327
სულ აქტივები		9,150,579	10,915,933	10,945,192
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	458,270	758,661	1,282,591
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	12	-	2,559	97,574
სულ მიმდინარე ვალდებულებები		458,270	761,220	1,380,165
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	13	22,726,155	22,344,764	23,724,637
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		22,726,155	22,344,764	23,724,637
სულ ვალდებულებები		23,184,425	23,105,984	25,104,802
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		(12,190,151)	(14,159,710)	(13,324,973)
პერიოდის მოგება/ზარალი		(1,843,795)	1,969,559	(834,737)
სულ კაპიტალი		(14,033,846)	(12,190,051)	(14,159,610)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,150,579	10,915,933	10,945,192

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ფეხუაშვილი

დირექტორი

9-25 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2022 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	142,136	932,010
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	163,728	158,661
მარაგები	8	547,347	543,594
გაცემული სესხები	9	33,012	383,083
საგადასახადო აქტივი, წმინდა	12	22,826	-
სულ მიმდინარე აქტივები	909,049	2,017,348	1,341,865
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	8,236,633	8,893,688
არამატერიალური აქტივები		4,897	4,897
სულ გრძელვადიანი აქტივები	8,241,530	8,898,585	9,603,327
სულ აქტივები	9,150,579	10,915,933	10,945,192
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	458,270	758,661
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	12	-	2,559
სულ მიმდინარე ვალდებულებები	458,270	761,220	1,380,165
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	22,726,155	22,344,764
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	22,726,155	22,344,764	23,724,637
სულ ვალდებულებები	23,184,425	23,105,984	25,104,802
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	100	100
გაუნაწილებელი მოგება		(12,190,151)	(14,159,710)
პერიოდის მოგება/ზარალი		(1,843,795)	1,969,559
სულ კაპიტალი	(14,033,846)	(12,190,051)	(14,159,610)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	9,150,579	10,915,933	10,945,192

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ფეხუაშვილი

დირექტორი



9-25 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეით“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	15	4,422,190	5,175,268
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(3,732,575)	(3,876,667)
საერთო მოგება		689,615	1,298,601
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(695,435)	(518,768)
საოპერაციო მოგება		(5,820)	779,833
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		(1,770,342)	(1,964,493)
საკუროსო მოგება / (ზარალი)	18	22,856	3,193,901
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		17,908	2,682
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19	(108,397)	(42,364)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,843,795)	1,969,559
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(1,843,795)	1,969,559
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		(1,843,795)	1,969,559

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ფეზუაშვილი

დირექტორი

9-25 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეით“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	15	4,422,190	5,175,268
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(3,732,575)	(3,876,667)
საერთო მოგება		689,615	1,298,601
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(695,435)	(518,768)
საოპერაციო მოგება		(5,820)	779,833
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		(1,770,342)	(1,964,493)
საკურსო მოგება / (ზარალი)	18	22,856	3,193,901
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		17,908	2,682
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19	(108,397)	(42,364)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,843,795)	1,969,559
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(1,843,795)	1,969,559
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		(1,843,795)	1,969,559

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ფეშუაშვილი

დირექტორი



9-25 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეით“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022 (გადაანგარიშებული)	(14,159,710)	(14,159,710)
წლის სრული შემოსავალი	1,969,559	1,969,559
31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	(12,190,151)	(12,190,151)
წლის სრული ზარალი	(1,843,795)	(1,843,795)
31 დეკემბერი 2023	(14,033,946)	(14,033,946)

გამომგებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ფეხუაშვილი

დირექტორი

9-25 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეით“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022 (გადაანგარიშებული)	(14,159,710)	(14,159,710)
წლის სრული შემოსავალი	1,969,559	1,969,559
31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	(12,190,151)	(12,190,151)
წლის სრული ზარალი	(1,843,795)	(1,843,795)
31 დეკემბერი 2023	(14,033,946)	(14,033,946)

გამომგებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ფეხუაშვილი

დირექტორი



9-25 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეით“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	241,703	923,434
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება /(გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან	362,000	(293,425)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საფინანსო საქმიანობიდან	(1,355,993)	(268,416)
ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	(752,290)	361,593
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი ფული და ფულის ეკვივალენტებიდან	(37,584)	(105,752)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	932,010	676,169
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	142,136	932,010

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ფეზუაშვილი

დირექტორი

9-25 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დ.ს. ესთეით“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	241,703	923,434
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება /(გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან	362,000	(293,425)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საფინანსო საქმიანობიდან	(1,355,993)	(268,416)
ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	(752,290)	361,593
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი ფული და ფულის ეკვივალენტებიდან	(37,584)	(105,752)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	932,010	676,169
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	142,136	932,010

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ფეშუაშვილი

დირექტორი



9-25 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „დ.ს. ესთეით“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. კომპანიის რეგისტრაციის მისამართი არის ძველი თბილისის რაიონი, ტ. შევჩენკოს ქ. N1, თბილისი, საქართველო.

კომპანია დაფუძნებულია 2012 წლის 17 აპრილს. მისი ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო ბიზნესი.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს „მიტოთელ ლიმიტედ, HE 368595 (კვიპროსი)	100%	100%

კომპანიის დირექტორი არის გიორგი ფეზუაშვილი, რომელიც უშუალოდ ჩართულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაში.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფას“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2023 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში (ლ / GEL) და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მომგებიანობა, სტაბილური შემოსავლები, ძლიერი ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე აქტივების ვალდებულებებთან შედარებით მკვეთრი სიჭარბე და გაუნაწილებელი მოგების (კაპიტალის) ოდენობა, ასევე დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი / ლარი	2,6894	2,7020
1 ევრო / ლარი	2.9753	2,8844

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6279	2.9156
1 ევრო / ლარი	2.8416	3.0792

ამონაგები საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება და საკუთრების ულფების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად: დღგ)

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანია ამონაგების ძირითად ნაწილს იღებს სასტუმროს ბიზნესისგან, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მომხმარებელთან მომსახურების გაწევა. ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება საწარმოში და ამონაგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი, იმის მიუხედავად როდის ხდება გადახდა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ამონაგების ძირითადი სახელშეკრულებო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება წინასწარ განსაზღვრული, ძირითადად ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტულის მომსახურების/პორდუქტის ტიპზე და პერიოდზე. კომპანია მთლიან სახელშეკრულებო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება (ზარალის)“ სახით.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)	
შენობა-ნაგებობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-10
სატრანსპორტო საშუალებები	3
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის სასრული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებას და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა.

გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანია ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახავს მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადებთან, მათ ნარჩენ ღირებულებებთან, ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან და გადასახადებთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად გადახედავს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურების, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურებას მოგება-ზარალში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

4. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია

შეცდომის გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ გაასწორა წინა პერიოდის ანგარიშგებაში შეცდომით წარდგენილი ინფორმაცია ფული და ფულის ექვივალენტებზე. 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოვახდინეთ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან ნაწილობრივ არასწორად წარდგენილი თანხების გადანა სხვა ანგარიშებზე, კერძოდ, მისაღები პროცენტისა და ფინანსური აქტივების თანხების გამოტანა, ხოლო წინასწარ გადახდილი თანხების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემთხვევაში კი მიღებული ავანასების. შეცდომები გასწორდა ყველა ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ელემენტების შესწორებით, რომელზეც ქონდა გავლენა ზემოხსენებულ შეცდომებს, შემდეგნაირად:

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი 2021	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ფული და ფულის ეკვივალენტები	676,669	500	676,169
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	89,738	(83,180)	172,918
გაცემული სესხები	77,440	(607)	78,047
წინასწარ გადახდილი თანხები	155,085	155,085	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,277,475	(5,116)	1,282,591
მიღებული ავანსები	5,565	5,565	-
მოგების გადასახადის ვალდებულება	11,068	11,068	-
სხვა საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა	157,855	157,855	-
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	-	(97,574)	97,574
31 დეკემბერი 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	109,855	(48,806)	158,661
გაცემული სესხები	362,000	(21,083)	383,083
წინასწარ გადახდილი თანხები	138,265	138,265	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	752,373	(6,288)	758,661
მიღებული ავანსები	7,356	7,356	-
მოგების გადასახადის ვალდებულება	11,539	11,539	-
სხვა საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა	58,329	58,329	-
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	-	(2,559)	2,559

რეკლასიფიკაცია

კომპანია შესადარისი ინფორმაციის რეკლასიფიკაციას ახდენს, რათა შესაბამისობაში მოიყვანოს მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან.

რეკლასიფიკაციის ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი 2021	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
გრძელვადიანი სესხები	20,274,616	(3,450,021)	23,724,637
მოკლევადიანი სესხები	3,450,021	3,450,021	-
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის მოგება/ზარალი	(14,159,710)	(834,737)	(13,324,973)
	-	834,737	(834,737)

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
გრძელვადიანი სესხები	17,399,258	(4,945,506)	22,344,764
მოკლევადიანი სესხები	4,945,506	4,945,506	-
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის	(12,190,151)	1,969,559	(14,159,710)
მოგება/ზარალი	-	(1,969,559)	1,969,559

რეკლასიფიკაციის ეფექტი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,329,165)	547,501	(3,876,666)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(733,402)	(214,634)	(518,768)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(323,743)	(323,743)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(45,364)	(3,000)	(42,364)
მოგების გადასახადის ხარჯი	(6,124)	(6,124)	-
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	(2,064,110)	(99,617)	(1,964,493)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	102,299	99,617	2,682

5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ ცვლილებები და ინტერპრეტაციები არ მომხდარა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს).

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტი 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	68,270	208,290	87,695
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	65,192	710,261	573,003
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	8,674	13,459	15,471
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	142,136	932,010	676,169

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
გადახდილი ავანსები	137,277	137,197	155,085
სავაჭრო მოთხოვნები	26,451	21,464	17,833
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	163,728	158,661	172,918

8. მარაგები

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
ნედლეული	288,677	233,219	143,824
სამზარეულოს ინვენტარი	136,803	169,528	154,658
სასტუმროს მარაგები	114,790	137,165	113,740
სხვა	7,077	3,682	2,509
სულ მარაგები	547,347	543,594	414,731

9. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
გაცემული სესხი USD	-	-	77,440
გაცემული სესხი ლარი	-	362,000	-
მისაღები პროცენტები	33,012	21,083	607
სულ გაცემული სესხები	33,012	383,083	78,047

კომპანიას გაცემული სესხები აქვს იურიდიულ პირებზე, დოლარში საპროცენტო განაკვეთი 12%-ს შეადგენს, ხოლო ლარში 15%-ს.

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენობა-ნაგებობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	11,163,440	26,556	46,212	1,452,746	12,688,954
შემოსვლა	-	-	-	22,195	22,195
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	(1,585)	(1,585)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,163,440	26,556	46,212	1,473,356	12,709,564
შემოსვლა	-	-	-	31,336	31,336
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	(21,631)	(21,631)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,163,440	26,556	46,212	1,483,061	12,719,269
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება					
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,173,846)	(19,325)	(22,506)	(874,847)	(3,090,524)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	(558,172)	(3,319)	(6,602)	(157,341)	(725,434)
ცვეთის ამობრუნება	-	-	-	83	83
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,732,018)	(22,644)	(29,108)	(1,032,105)	(3,815,875)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	(558,172)	(3,319)	(6,602)	(117,789)	(685,882)
გასვლის/ჩამოწერის მომენტში დაგროვილი ცვეთა	-	-	-	19,122	19,122
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3,290,190)	(25,963)	(35,710)	(1,130,772)	(4,482,636)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,989,594	7,231	23,706	577,899	9,598,430
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,431,422	3,912	17,104	441,250	8,893,688
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,873,250	593	10,502	352,288	8,236,633

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან			
უცხოურ ვალუტაში	337,225	600,970	980,119
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან			
ეროვნულ ვალუტაში	115,215	151,404	258,427
მიღებული ავანსები	6,200	7,356	5,565
გადასახდელი ხელფასები	(370)	(1,069)	38,480
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	458,270	758,661	1,282,591

12. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა

კომპანიის საბიუჯეტო გადასახდელები შედგება საგადასახადო ვალდებულებების და აქტივების ნეტო ნაშთისგან როგორც 2023 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის.

13. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
გრძელვადიანი სესხები U S D	14,385,575	17,269,460	20,116,936
გრძელვადიანი სესხები E U R	1,606,662	129,798	157,680
გადასახდელი პროცენტები USD	6,716,956	4,928,409	3,437,135
გადასახდელი პროცენტები EUR	16,962	17,097	12,886
სულ გრძელვადიანი სესხები	22,726,155	22,344,764	23,724,637

კომპანიას მიღებული სესხები აქვს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისგან, საპროცენტო განაკვეთი მიღებულ სესხებზე არის 5% - 20%.

14. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 100 ლარს.

15. შემოსავალი

შემოსავალი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	4,386,511	5,151,303
სხვა შემოსავალი	35,679	23,965
სულ შემოსავალი	4,422,190	5,175,268

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
პირდაპირი ხელფასი	1,062,485	1,111,558
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	802,161	710,462
ცვეთის ხარჯი	669,525	709,077
კომუნალური ხარჯები	407,183	398,116
სასტუმროს ნომრის დაჯავშნა	269,508	323,743
დამხმარე მასალების დანახარჯები	133,408	138,677
ძირითადი მასალების დანახარჯები	94,122	176,744
სამრეცხაოს მომსახურება	91,953	81,633
სასტუმროს საოპერაციო ხარჯები	79,758	79,230
სატრანსპორტო მომსახურება	56,025	58,400
სატრანსპორტო ხარჯები	8,842	13,845
სამივლინებო ხარჯები	8,194	-
სხვა	49,411	75,182
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3,732,575	3,876,667

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	256,210	107,192
საგადასახადო ხარჯები	103,843	98,692
საკონსულტაციო ხარჯები	78,658	102,271
საბანკო ხარჯი	70,101	73,904
საიჯარო ქირა	59,743	63,907
დაზღვევის ხარჯები	36,707	23,277
რეკლამის ხარჯები	12,159	5,303
ცვეთის ხარჯები	16,357	16,357
მარკეტინგული მომსახურების ხარჯები	15,307	3,285
IT ხარჯები	13,585	4,440
კომუნიკაციის ხარჯები	10,366	583
საოფისე ხარჯები	7,906	9,053
ამხანაგობის წევრობის ხარჯები	6,204	6,175
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	936	-
რემონტის ხარჯები	-	1,329
სხვა ხარჯი	7,353	3,000
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	695,435	518,768

18. საკურსო მოგება

საკურსო მოგება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
დადებითი საკურსო სხვაობა	157,616	3,386,758
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(134,760)	(192,857)
სულ საკურსო მოგება	22,856	3,193,901

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ჯარიმები და საურავები	57,379	350
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	49,478	39,567
უსაბუთო ჩეკები	1,540	2,447
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	108,397	42,364

20. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

21. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს:

- ▶ საკრედიტო რისკს,
- ▶ საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა საფასო რისკის ჩათვლით) და
- ▶ ლიკვიდურობის რისკს.

ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა და შემდგომ არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენის უზრუნველყოფა.

საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26,451	21,464
ფული და ფულის ეკვივალენტები	142,136	932,010
სულ ფინანსური აქტივები	168,587	953,474
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	452,070	751,305
საგადასახადო ვალდებულებები	(22,826)	2,559
სულ ფინანსური ვალდებულებები	429,244	753,864
წმინდა ფინანსური პოზიცია (აქტივების ნამეტი ვალდებულებებზე)	(260,657)	199,610

საკრედიტო რისკი

კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26,451	21,464
ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში (ნაღდი ფულის გამოკლებით)	133,462	918,551
სულ ფინანსური აქტივები	159,913	940,015

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, რომელიც შეეხება:

- უცხოურ ვალუტაში არსებულ ოპერაციებს (სავალუტო რისკი);
- საპროცენტო აქტივებსა და ვალდებულებებს;
- ფასების ზოგადი და სპეციფიკურ საბაზრო ცვალებადობას, რომელსაც გავლენა აქვს კომპანიაზე.

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღებ რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება სისტემატიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს მაჩვენებლები ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

კომპანიის საბაზრო რისკების ანალიზისას, ყველაზე მნიშვნელოვანია სავალუტო რისკი, რომლის მგრძნობელობაც გაანალიზებულია ქვემოთ. ხოლო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკი კომპანიისთვის უმნიშვნელოა მისი ფინანსური ინსტრუმენტების სტრუქტურიდან გამომდინარე.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს.

ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

2023	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	17,069	21,102,532	(21,085,463)
ევრო	48,123	1,623,624	(1,575,501)
სულ	65,192	22,726,156	(22,660,964)

2022	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	658,137	22,197,869	(21,539,732)
ევრო	52,124	146,895	(94,771)
სულ	710,261	22,344,764	(21,634,503)

გავლენა მოგება-ზარალზე		
	2023	2022
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(2,108,546)	(2,153,973)
ევროს 10%-ით გამყარება	(157,550)	(9,477)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	2,108,546	2,153,973
ევროს 10%-ით გაუფასურება	157,550	9,477

შპს „დ.ს. ესთეით“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და დადგეს ფინანსური სირთულის წინაშე. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით. ხელმძღვანელობა კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	142,136	-	142,136
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	163,728	-	163,728
სულ ფინანსური აქტივები	305,864	-	305,864
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	458,270	-	458,270
საგადასახადო ვალდებულებები	(22,826)	-	(22,826)
სულ ფინანსური ვალდებულებები	435,444	-	435,444
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(129,580)	-	(129,580)

31 დეკემბერი 2022	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	932,010	-	932,010
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	158,661	-	158,661
სულ ფინანსური აქტივები	1,090,671	-	1,090,671
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	758,661	-	758,661
საგადასახადო ვალდებულებები	2,559	-	2,559
სულ ფინანსური ვალდებულებები	761,220	-	761,220
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	329,451	-	329,451

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების

გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხებისა და გადასახდელი პროცენტების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მდგომარეობით 7,132,531 ლარი (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,175,643 ლარი).

გაცემული სესხებისა და მისაღები პროცენტების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მდგომარეობით 383,083 ლარი (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 33,012 ლარი).

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.